განვითარების ხედვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მოდელი უნიკალური მოდელია: მაუწყებლობა ხალხისთვის, ხალხის მიერ დაფინანსებული და მისსავე კონტროლს დაქვემდებარებული. მისი ფუნქციიდან გამომდინარე, იგი უნდა იყოს ჯაჭვი, რომელიც კრავს საზოგადოებას, ერთმანეთის ხმას აგონებს ხალხს, ელიტებს, სოციალურ ფენებს. სრულიად განსაკუთრებულია ამ მედია ინსტიტუციის როლი ქვეყნის, საზოგადოების, ცალკეული მოქალაქის ცხოვრებაში, მათი ხვალინდელი დღის ფორმირებაში.

ერთის მხრივ, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს საერთაშორისო მედია კონტექსტის ნაწილი, მეორეს მხრივ კი ითვალისწინებდეს საქართველოსა და მისი მოქალაქეების ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ისტორიულ რეალობებს, მაყურებლის თავისებურებას.

მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი, რაც ჩართულია ტელეწარმოების რთულ და უწყვეტ პროცესში: უახლესი ტექნიკური საშუალებები, თანამედროვე ტელეფორმატები, ჰიბრიდული ჟანრები, ტელეჟურნალისტიკის ნოვაციური ტენდენციები- ემსახურებოდეს ყოველდღიურად მზარდი, მრავალმხრივი და ქაოტური ინფორმაციული ნაკადის ერთიან, გააზრებულ კონტექსტში მოქცევას საზოგადოებისა და მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოჩენას, გლობალურ და სწრაფად ცვალებად სამყაროში მაყურებლის ორიენტირების ხელშეწყობას.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი იქცეს სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის ოაზისად, სამოქალაქო მშვიდობისადა დემოკრატიული განვითარების გარანტად. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი პროდუქტი კი უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული პროგრესიც და სამოქალაქო სტაბილურობაც.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი უშუალოდ არის დამოკიდებული მის მისიასა და როლზ საზოგადოების ცხოვრებაში. თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოებისთვის შეუქცევადი პროცესი: ინფორმაციის მრავალფეროვანი და ორიგინალური წყაროების არსებობა, მათი

რაოდენობის სწრაფი ზრდა და, შესაბამისად, აუდიტორიის ფრაგმენტირება, ინტერესთა მიხედვი
მისი მრავალრიცხოვან სეგმენტებად დაყოფა, აუცილებელს ხდის თუნდაც ერთი ძლიერი
სამაუწყებლო ინსტიტუციის არსებობას, რომელიც იკისრებს ეროვნული ორიენტირის ფუნქციას ,
პასუხს გასცემს საზოგადოებაში არსებულ ყველა კითხვას, შექმნის საზოგადოებრივ აზრს,
გააერთიანებს საზოგადოებას, შესთავაზებს ინფორმაციას, განათლებასა თუ გართობას ყველას,
საზოგადოების ყველა სეგმენტს, მიუხედავად სქესისა, ასაკისა, ეროვნებისა განათლებისა და
აღმსარებლობისა.

სწორედ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა იკისროს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი
ფუნქცია - იქცეს სარკედ, რომელშიც საზოგადოება საკუთარ თავს დაინახავს, ანუ იქცეს
საზოგადოებისთვის თვითრეფლექსიის ინსპირატორად, ყოველი მოქალაქის მიერ ქვეყნისა
და საზოგადოების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების იმპულსად,
შესაბამისად, მთელი საზოგადოების გამაერთიანებელ მექანიზმად.

საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისი მისიიდან გამომდინარე უნდა იყოს მედიაგარემოს
მდგრადობის გარანტი, ის საზოგადოებრივი ფორუმი,სადაც საზოგადოებაში არსებული ყველა
კითხვა დაისმება და სადაც ამ კითხვებზე არსებითი პასუხები გაიცემა, სადაც განხორციელდება
იდეების, ინფორმაციის, მოსაზრებებისა და კრიტიკის თავისუფალი მიმოსვლა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსი და დაფინანსების პრინციპი განაპირობებს იმას, რომ
მაყურებელი მას დიდ მოთხოვნებს უყენებს და მოელის ისეთი ინფორმაციის გავრცელებასა და
ისეთი ჟურნალისტური პროდუქტის შექმნას , რომელიც საშუალებას მისცემს აუდიტორიას,
ერთი მხრივ, რეალობის მაქსიმალურად ზუსტი სურათი შეიქმნას და,მეორე მხრივ, სამომავლო
ორიენტირი დაისახოს.

ტრადიციისა და ნოვაციის, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიულის საღი ბალანსი უნდა
შეადგენდეს მაუწყებლის გადაცემათა მსოფლმხედველობრივ საფუძველს.

საზოგადოებრივი მაუწყებლმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, რაც
მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის
დაბალანსებულ ურთიერთობას. პლურალიზმი ერთი მაუწყებლის ფარგლებში უნდა

ამკვიდრებდეს ახალ, განსხვავებულ სტანდარტს მთელ ქრთულ მედიასივრცეში.

მაუწყებლის მნიშვნელოვანი ვექტორი, საზოგადოებისთვის სიახლის შიშის მოხსნა, ცვალებადი, ექსტრემალური რეალობისადმი შეგუების, სწორედ ადაპტირების ხელშეწყობაცაა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია: მმართველობაში სამეურვეო საბჭოების, როგორც საზოგადოებრივი ზედამხედველობის ინსტიტუტის არსებობა, განსხვავებული პროგრამული პოლიტიკა და დაფინანსების სპეციფიკური ფორმები.

ყველაფერმა ერთად უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სრული დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, საზოგადოებრივი ინტერესების ერთგულება.

მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს განსაზღვრავს სამეურვეო საბჭო, იგი ამტკიცებს ამ პრიორიტეტების მიხედვით შესაქმნელი გადაცემების ბიუჯეტს და შემდგომ აკონტროლებს როგორც პრიორიტეტების, ასევე ბიუჯეტის შესრულებას.

აქედან გამომდინარე, სწორედ სამეურვეო საბჭოა პასუხისმგებელი საზოგადოების წინაშე შეიქმნას პრეცედენტი მაღალი ხარისხის მაუწყებლობისა, სადაც სოციალური სიკეთის მომტანი ისეთი თემები იქნება გაშუქებული, რომლებიც ემსახურება საზოგადოების თითქმის ყველა ფენის თუ ჯგუფის ინტერესს და რომელიც სხვა, კომერციული არხების ბადეში ვერასოდეს მოხვდება.

მისიიდან გამომდინარე სამეურვეო საბჭოა პასუხისმგებელი მაუწყებლის სანდოობაზე.

პ[redacted]
მ[redacted]

საზოგადოების ნდობა- საბჭოს ყოველი წევრის კვალიფიკაციასა და კეთილსინდისიერებაზე და უაღრესი პასუხისმგებლობა- ვიწრო ჯგუფურ ინტერესზე ზემოთ, საზოგადოებრივი ინტერესის დაყენებაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის ძირითადი პრიორიტეტების თაობაზე კომუნიკათმცოდნეები დიდი ხანია შეთანხმდნენ , ეს ზოგადი პრიორიტეტები

მაუწყებლობის შესახებ კანონშიცაა ასახული.

სამეურვეო საბჭოს განსასაზღვრია პრიორიტეტების იმ რიგითობის დადგენა, რომელიც მათი აქტუალობის შესაბამისად დგას დღის წესრიგში, დროის განსაზღვრულ მომენტში.

ამ რიგითობას სამეურვეო საბჭო ადგენს იმ ანალიზისა და რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც მის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და საექსპერტო შეფასებებს ეფუძნება

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებიდან ირკვევა, რომ ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტისას სამეურვეო საბჭოები მჭიდროდ თანამშრომლობენ აგრეთვე ე.წ. საზოგადოებრივ საბჭოებთან(ზოგან ასეთ საბჭოებს „მაყურებელთა საბჭოები“ ქვია), რომლებიც წარმომადგენლობითი პრინციპით ირჩევა და სამეურვეო საბჭოებისთვის სათათბირო ფუნქციას ასრულებს, როგორც პრიორიტეტების რიგითობის განსაზღვრისას, ასევე მათი შესრულების კონტროლის განხორციელებისას.

ასეთი საზოგადოებრივი საბჭოები,სამწუხაროდ, საქართველოშო ჯერჯერობით მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, თუმცა რამდენადაც ცნობილია,საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო უკვე მუშაობს, რომ ეს ორმხრივი კომუნიკაცია ფუნდამენტურად დანერგოს და ამით ალბათ გაუმჯობესდება გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმიც და სამაუწყებლო პოლიტიკის დაგეგმვაც.

ამ მიმართებით შესასწავლია მრავალი ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოცდილება.